**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №317/149**

**გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.**

**დ. მესტია 21 ივნისი 2023 წელი**

**ხელშეკრულების მხარეები:**

ჩვენ, ერთის მხრივ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილი პირი, შემდგომში „მესტიის მუნიციპალიტეტი'' წარმოდგენილი: **ა(ა)იპ "მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის" დირექტორის მამუკა გირგვლიანის** სახით, ხოლო, მეორეს მხრივ **შპს „ემ თი ეი“** წარმოდგენილი **დირექტორის ირაკლი ბურჭულაძის** სახით, შემდგომში "მომსახურების მიმღები", საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის მე-X (ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოება) მუხლისა და საქართველოს კანონის სამშენებლო სამართლის შესახებ 119[1] მუხლის (გზის საფარის დანაგვიანება ან დაზიანება) 146[1] -ე (დასუფთავების წესების დარღვევა), 148-ე (თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა)150-ე (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) 152-ე (ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას) მუხლებით გათვალისწინებული შედეგების თავიდან აცილების მიზნითა და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 41 დადგენილების საფუძველზე ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:**

მომსახურების მიმღების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გატანა, ტრანსპორტირება და მისი საბოლოო განთავსების ადგილას მიტანა (კურორტი თეთნულდი - 25 გატანა, კურორტი ჰაწვალი- 50 გატანა).
CPV - 90500000

**მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები:**

2.1. ხელშეკრულების საგანში აღნიშნულ მომსახურებას ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა(ა)იპ „მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის“ სამსახური.

2.2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის“ სამსახური ვალდებულია იზრუნოს მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების გარეგნულ იერსახეზე, ასევე იღებს ვალდებულებას მომსახურების მიმღების (ფიზიკური და იურიდიული პირების) მიერ წარმოქმნილ ნარჩენების შეგროვება და მართვაზე.

2.3. იმ შემთხვევაში თუ ნარჩენების წარმომქმნელი უარს იტყვის ხელშეკრულებით შეთავაზებულ მომსახურებაზე (ნარჩენების გატანა მართვაზე) იგი ვალდებულია თავად უზრუნველყოს მის მიერ წარმოქმნილი ნარჩენებისაგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გაწმენდა დასუფთავება. ამ შემთხვევაში მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი თანამდებობის პირი თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში ადგენს აქტს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იურიდიული ფაქტის დადასტურების მიზნით, რაც შეიძლება საფუძველი გახდეს ადმინისტარციული სახდელის დაკისრების საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119[1],146[1] ,148, 150 და 152 მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

2.4. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც უარს აცხადებენ მომსახურების მიღებაზე ვალდებული არიან ხელშეკრულებაზე უარის თქმის დღიდან ათი დღის განმავლობაში თავად შეიძინონ სპეციალური ბუნკერები და მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის“ სამასახურთან შეთანხმებით გამოყონ მისი განთავსების ადგილი.

2.5. მომსახურების მიმღები უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოითხოვოს მესტიის მუნიციპალიტეტისაგან.

**მუხლი 3. ანგარიშსწორების პირობები:**

3.1. მომსახურების მიმღებისათვის ყოველთვიური დაგროვების ნორმის ერთეული დადგენილია მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის N 41 დადგენილების მუხლი 3-ის მიხედვით და განისაზღვრება 2.20 (ორი ლარი და ოცი თეთრი) ლარით.

3.2. სახელშეკულებო ღირებულება შეადგენს: **4950.00 (ოთხი ათას ცხრაას ორმოცდაათი ლარი და ნული თეთრი)** ლარს. მომსახურების მიმღების ღირებულება განისაზღვრება ვიზიტის შესაბამისად რომელიც განხორციელდება კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე. სათხილამურო კურორტი თეთნულდის მომსახურეობის ღირებულება 1 ვიზიტი 50 კმ მანძილზე 110.00 (ას ათი) ლარი (50კმ X 2.20=110). სათხილამურო კურორტი ჰაწვალის მომსახურეობის ღირებულება 1 ვიზიტი 44.00 (ორმოცდაოთხი) ლარი (20 კმ X 2.20 =44).

3.3. მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. მომსახურების მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით მიღება–ჩაბარების აქტი, ყოველთვიურად, კვარტლურად ან შეთანხმების შემთხვევაში ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში.

3.5. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადასახადი გადაიხადოს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

3.6. თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ობიექტს დაერიცხება საურავი გადასახდელი თანხის 0.05% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3.7. მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებით განსაზღვრული მონაცემების შეცვლის შესახებ.

**მუხლი 4. ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშსწორების პირობების ინსპექტირება:**

4.1. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახაზინო მომსახურების, შემოსავლების ანალიზის და კონტროლის განყოფილება ასევე ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია მოახდინოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშსწორების პირობების კონტროლი, ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული წესის ფარგლებში.

**მუხლი 5. დავები და მათი გადაწყვეტის წესი:**

5.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

5.2. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 6. ფორს-მაჟორი:**

6.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და დაუძლეველი ძალის არსებობის პირობებში (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა სხვა სტიქიური მოვლენები. საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, ახლობლის გარდაცვალება). ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნულ გარემოებათა დასრულებამდე.

**მუხლი 7. სხვა პირობები:**

7.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი დებულებებით.

7.2. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

**მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულებიდან გასვლა შეჩერება:**

8.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და რჩება ხელშეკრულების

რომელიმე მხარეს ნებისმიერი ახალი გარემოებების გაჩენამდე, რის შესახებაც ორივე მხარე ვალდებულია 10 დღის ვადაში აცნობოს ხელშეკრულების მეორე მხარეს. ხელშეკრულება ძალაშია ხელის მოწერის დღიდან 2024 წლის 31 იანვრამდე.

8.2. ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით და მხარეთა შეთანხმებით.

8.3. ფაქტობრივი გარემოებების იმგვარად შეცვლა, რამაც შეიძლება შეუძლებელი გახადოს ხელშეკრულებით აღებული უფლება-მოვალეობების შესრულება.

8.4. მომსახურების მიმღების (იურიდიული პირის შემთხვევაში) ლიკვიდაცია.

**მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შედეგები:**

9.1. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი თანამდებობის პირი თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში ადგენს აქტს, რაც შეიძლება საქართველოს კანონის ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ მე- 15 მუხლის 1 და მე-2 ნაწილის შესაბამისად საფუძველი გახდეს სასამართლო სარჩელის.

9.2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მესტიის დასუფთავებიისა და კეთილმოწყობის“ სამსახურის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მომსახურების მიმღები“-ს მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული სახდელის ზომები ტერიტორიის დაბინძურების ფაქტის გამო.

**მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები:**


მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 235895046
მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1
სახაზინო რეკვიზიტები: სახაზინო
ა/ნ. 300413189
სახაზინო კოდი: 200122900
ტელეფონი: 555007548
595513027, 599131871;


**დირექტორი:** Cleaning and Improvement Service of Mestia Municipality Digitally signed by Cleaning and Improvement Service of Mestia Municipality Date: 2023.06.23 12:34:03 +04'00' **/მამუკა გირგვლიანი/**


შპს „ემ თი ეი“

ს/კ 215096367
მის: ქ. თბილისი, კოსტავას N70
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE97TB7346636020100001


**დირექტორი:** M T A LLC Digitally signed by M T A LLC Date: 2023.06.22 17:35:23 +04'00' **/ირაკლი ბურჭულაძე/**